**რა?** ვალტერ ბენიამინისადმი მიძღვნილი სემინარი

**ვინ?** ბოხუმის რურის უნივერსიტეტის მედიის მეცნიერების ინსტიტუტი — ქრისტოფ ჰესე და დევი დუმბაძე; თბილისის სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილება — თენგიზ ირემაძე

**ვისთვის?** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის; სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებისათვის; მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის სტუდენტებისათვის; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის; ყველა დაინტერესებულ პირთათვის

**ხანგრძლივობა?** 3 დღე

**როდის?** 2007 წლის 7-9 მაისი, ყოველი დღის 12:00 საათიდან

**სად?** გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში ზანდუკელის ქ. 16, 0108 თბილისი

## მომხსენებლები

**დევი დუმბაძე** სწავლობდა ფილოსოფიას, კინოსა და ტელევიზიის მეცნიერებას თბილისში და ბოხუმში; ბოხუმის რურის უნივერსიტეტის მედიის მეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი; ამჟამად მუშაობს დისერტაციაზე „ახალი ქართული ტელევიზია როგორც მართვის ტექნოლოგია “.

**თენგიზ ირემაძე** ფილოსოფიის დოქტორი; დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი, სადიპლომო ნაშრომი: „ფრიდრიხ ნიცშე “ესე იტყოდა ზარატუსტრა”; სადოქტორო დისერტაცია ბოხუმის რურის უნივერსიტეტის ფილოსოფიის, პედაგოგიკის და პუბლიცისტიკის ფაკულტეტზე: “აზროვნების კონცეფციები ნეოპლატონიზმში. პროკლეს ფილოსოფიის რეცეფციისთვის გერმანულ და ქართულ შუა საუკუნეებში: დიტრიხ ფრაიბერგელი — ბერთოლდ მოსბურგელი — იოანე პეტრიწი” (2004 წელი, გამოქვეყნდა ბენიამინის გამომცემლობაში, ამსტერდამი ფილადელფია); გამოსცა წიგნი “ფრიდრიხ ნიცშე” (გამომცემლობა “ნეკერი”, თბილისი 2006 წელი).

**ქრისტოფ ჰესე** სწავლობდა კინომეცნიერებას, გერმანისტიკასა და ფილოსოფიას ბოხუმში. 2005 წელს გამოაქვეყნა დისერტაცია კინოსა და კულტურის მეცნიერებათა სფეროებში „კინოფორმა და ფეტიში“ (Filmform und Fetisch, Aisthesis Verlag); ასევე, 2005 წელს პროფ. ვოლფგანგ ბაილენჰოფთან ერთად გამოსცა რუსი ფორმალისტების ტექსტები კინოს თეორიის შესახებ (Poetika Kino. Theorie und Praxis des Films im russischen Formalismus, Suhrkamp Verlag). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები „კრიტიკული თეორიის“ შესახებ.

**ორგანიზატორი:**
გოეთეს ინსტიტუტი, თბილისის ფილიალი

**პარტნიორი ინსტიტუციები:**
ბოხუმის რურის უნივერსიტეტის მედიის მეცნიერების ინსტიტუტი;
სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი
(ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილება);
„საგა“ (არაკომერციული საგამომცემლო საქმიანობა)

**კოორდინატორი:**
სოსო დუმბაძე,
კიოლნის მედიის ხელოვნების უმაღლესი სკოლის სტუდენტი (KHM)
**საკონტაქტო მეილი:** info@sagahouse.ge

საგა

GOETHE-INSTITUT
GEORGIEN

# ვალტერ ბენიამინის აზროვნება და მისი აქტუალობა. მედია-კულტურა-საზოგადოება

**გოეთეს ინსტიტუტის სემინარი ბოხუმის რურის უნივერსიტეტის მედიის მეცნიერების ინსტიტუტსა და სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ქართული და უცხოეთის ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებასთან თანამშრომლობით**

## სემინარი

**7-9 მაისი 2007**
**გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში**

GOETHE-INSTITUT
GEORGIEN

## პროგრამა

**ორშაბათი 7 მაისი**

12:00-13:00
ვალტერ ბენიამინი: ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა
თენგიზ ირემაძე (თბილისი)
(მოხსენება)

13:15-14:45
ვალტერ ბენიამინი და „ფრანკფურტის სკოლა“
ქრისტოფ ჰესე (ბოხუმი)
(მოხსენება)

15:15
ბენიამინის მოღვაწეობის გარშემო გადაღებული
დოკუმენტური ფილმი:
"ზღვარს მიღმა" („Jenseits der Grenze“)
რეჟ. გერდ როშერი, 1990, 56 წთ.
საუბარი ფილმის შესახებ

**სამშაბათი 8 მაისი**

12:00-13:30
„ფანტასმაგორია და საქონლური ფეტიშიზმი.
ბენიამინის და ადორნოს თეზისები კულტურის
ინდუსტრიის შესახებ“
ქრისტოფ ჰესე (ბოხუმი)
(მოხსენება)

14:00-15:30
„ხელოვნების ნიმუში მისი
ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“
დევი დუმბაძე (ბოხუმი)
(ვორქშოპი)

**ოთხშაბათი 9 მაისი**

12:00-13:30
რას ნიშნავს კრიტიკული ისტორიოგრაფია დღეს? ანუ
ვიკვლიოთ, „როგორ ვიქეცით იმად, რანიც ვართ დღეს“.
ფუკო და ბენიამინი.
დევი დუმბაძე (ბოხუმი)
(მოხსენება)

14:00-15:30
ვალტერ ბენიამინის „ისტორიის ცნების შესახებ“
თენგიზ ირემაძე (თბილისი)
(ვორქშოპი)

## პროექტის კონცეფცია

2007 წელს 115 წელი სრულდება ებრაული წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის, დაბადებიდან. ვალტერ ბენიამინი მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გერმანულენოვანი თეორეტიკოსი და მოაზროვნეა. 1960-იან წლებში მისმა შრომებმა ხელახალი აქტუალობა შეიძინა და მას შემდეგ დღემდე ამოუწურავ წყაროდ რჩება ისეთ სფეროთათვის, როგორიცაა **კრიტიკული კულტურის თეორია, მედიის თეორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია და სხვ.** „ფრანკფურტის სკოლასთან“ აქტიურ კონტაქტში მყოფ ამ გონებამახვილ დიაგნოსტიკოსსა და ღრმად მოაზროვნე ავტორს საქართველოში სამწუხაროდ ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ.

### სემინარის მიზანი

სემინარის მიზანია, აუდიტორიას გააცნოს ვალტერ ბენიამინის რთული და საინტერესო ცხოვრება, მისი მოღვაწეობის განვითარება და მისი შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკა; „ფრანკფურტის სკოლის“, ბერლინის, პარიზის და სხვ. უშუალო სამეცნიერო და კულტურულ-ლიტერატურული გარემო; ასევე, იმსჯელოს დამსწრეებთან ერთად ბენიამინის ერთ-ერთ ცენტრალურ ტექსტში, „ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ („Das Kunstwerk im Zeitalter seiner technischen Reproduzierbarkeit“) (1935/36) გამოთქმულ თეზისებზე ხელოვნების, კინოსა და ინდუსტრიული წარმოების შესახებ და მათ აქტუალობაზე დღევანდელი მედიისა და საზოგადოების გაგებისათვის. სემინარის ერთ-ერთი თემა იქნება, აგრეთვე, ვალტერ ბენიამინის ტექსტი "ისტორიის ცნების შესახებ" და მასში წარმოდგენილი განაზრებები კრიტიკული ისტორიისა და ისტორიოგრაფიის შესახებ („Über den Begriff der Geschichte“) (1939).

## სემინარ-ვორკშოპების პირობები

სემინარ-ვორქშოპები ჩატარდება ქართულ ენაზე. გამოყენებული იქნება ქართულად ნათარგმნი ბენიამინის ტექსტები „ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ და "ისტორიის ცნების შესახებ". ვორკშოპში აქტიურად ჩართვისა და ძირითადი თეზისების ერთობლივი განხილვის მიზნით:
**ეს გამოცემა უფასოდ გადაეცემა სემინარ-ვორკშოპებზე დასწრების მსურველებს ჩაწერისთანავე. ჩაწერა მიმდინარეობს გოეთეს ინსტიტუტში 11:00-დან 17:00-საათამდე (ცენტრალური მისაღები, ზანდუკელის ქუჩა N16).**